

## Invitation for Bids

თარიღი: 06 აპრილი, 2017  
სესხის ნომერი და დასახელება **Loan No. 3238-GEO: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა – Project 4**  
კონტრაქტის ნომერი და დასახელება: **ქ. ფოთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა P43405-ICB- POT-02**  
წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა: 18 მაისი, 2017; 16:00 hrs. (ადგილობრივი დრო)

1. **ურბანული მომსახურების საინვესტიციო პროგრამის, ტრანში 4-ის** ღირებულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველომ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკიდან (ADB). აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის დასაფინანსებლად. საერთაშორისო სატენდერო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან, რომელთა სიაც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის მეხუთე ნაწილში.

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „დამქირავებელი“) აცხადებს დალუქული სატენდერო წინადადების მიღებას უფლებამოსილი პრეტენდენტებისგან, ქ. ფოთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასა და მშენებლობაზე (შემდგომში „ნაგებობა“). კერძოდ, ნაგებობა მდებარეობს ქ. ფოთში, საქართველოს დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. თბილისიდან დაახლოებით 310 და ზუგდიდიდან დაახლოებით 40 კილომეტრში. სამუშაოები მოიცავს ქ. ფოთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მშენებლობასა და მონტაჟს.

*სამუშაოები დაეფუძნება გათვლებს 2024 წლისათვის, თუმცა პროექტირება და მშენებლობა იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ 2044 წლისთვის ამ ნაგებობის გაფართოვება იყოს შესაძლებელი. ნაგებობა უნდა მოიცავდეს საქაჩ სადგურებს, ფილტრებს, კონდიციონერებს და ნარჩენების სათავსოებს, ადმინისტრაციულ და ოპერაციულ შენობებს, ნარჩენების კონცენტრატორს და ა.შ.*

კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 730 დღეს (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის გარეშე)

3. **საერთაშორისო სატენდერო ვაჭრობა (ICB)** წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეულებიანი: 2-კონვერტიანი სატენდერო პროცედურების შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა პრეტენდენტს უფლებამოსილი ქვეყნიდან, რომლის ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. დამატები ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად პრეტენდენტებმა უნდა მიმართონ:

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია  
ია მაზანიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი  
76<sup>ბ</sup> ვაჟა-ფშაველას გამზირი  
0186 თბილისი  
საქართველო  
ტელეფონი: (995 32) 291 90 60  
ფაქსიმილეს ნომერი: (995 32) 222 00 36

ელ. ფოსტის მისამართი: i.mazanishvili@water.gov.ge; n.mskhiladze@water.gov.ge

5. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე მისაღებად უფლებამოსილმა პრეტენდენტმა უნდა:

- მიმართოს დამქირავებელს **P43405-ICB-POT-02, ქ. ფოთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვაზე**
- გადაიხადონ არაანაზღაურებადი გადასახადი 250 ლარის ოდენობით ან 100 აშშ დოლარის ოდენობით დოკუმენტაციის UWSCG ოფისში მისაღებად და 500 ქართული ლარი ან 200 აშშ დოლარი კურიერით მიღებისათვის.

10:00 -დან 17:00-მდე პუნქტ 4-ში მითითებულ ოფისში.

ან

ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

JSC Liberty Bank, ცენტრალური ფილიალი

SWIFT CODE: LBRTGE22

GE67LB0113123325230095 GEL

GE40LB0113123325230096 USD

ანოტაციით: „მოწვევა სატენდერო პაკეტისათვის - ფოთში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, მოწოდება და მონტაჟი (POT-02)

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ელექტრონული გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის და მოთხოვნის წერილის წარმოდგენის შემდეგ. ალტერნატივის სახით, წერილობითი მოთხოვნის წარდგენისა და გადასახადის უზრუნველყოფის შემდეგ, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია კურიერის მეშვეობით გაუზიარებს სატენდერო დოკუმენტაციას დაინტერესებულ პრეტენდენტებს. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა დაბეჭდილი ფორმატით (ელექტრონული ვერსიის გაცემაც მოხდება, თუმცა ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს შორის არსებული შეუსაბამოების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ბეჭდურ ვერსიას).

6. წარმოადგინეთ თქვენს სატენდერო წინადადება:

- ზემოხსენებულ მისამართზე
    - მოცემულ თარიღში ან ბოლო ვადამდე: 18 მაისი, 2017; 16:00 hrs. (ადგილობრივი დრო)
- წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, რომლის დეტალებიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტში

ტექნიკური სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება უშუალოდ მათი მიღების ბოლო ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტის მიერ შერჩეული წარმომადგენლის თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დასწრებას.